

ქართული საფინანსო ტერმინოლოგიის პრობლემური საკითხების
კვლევა

გიორგი ოქროპირიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ლექსიკოგრაფიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა „ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2025

აბსტრაქტი

ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა იმ სფეროების ტერმინოლოგიური კვლევა, სადაც უცხო ენებთან და ზოგადად გარესამყაროსთან შეხება ძლიერ აქტიურია და თავად ეს თარგები დიდი სისწრაფით ვითარდება. აქ ახალი ცნებები და ტერმინები მუდმივად ჩნდება და უცხო ენათა გავლენები ქართულ ენაზეც აისახება. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას გაანალიზდეს თანამედროვე ქართული საფინანსო ტერმინოლოგიის სტრუქტურა, სემანტიკური თავისებურებები, წარმოშობის წყაროები და გამოყენების პრაქტიკა. კვლევა მიზნად ისახავს ფინანსურ ტერმინოლოგიაში არსებული პრობლემების – კერძოდ, ტერმინოლოგიური სიჭრელის, უცხოური ტერმინების ზოგჯერ უკონტროლო სესხების, არათანმიმდევრული გამოყენებისა და სტანდარტიზაციის – იდენტიფიცირებასა და შეფასებას.

კვლევაში გამოყენებულია როგორც ტრადიციული ენათმეცნიერული მეთოდები, ისე თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტები (მაგალითად, SynchroTerm), რომლებიც ამარტივებს ფინანსურ (და არამართო) ტერმინებზე მუშაობას ორენოვან კორპუსებზე დაყრდნობით, მათი კონტექსტის დეტალურ ანალიზსა და ტერმინთა სიის შექმნას. ნაშრომში ტერმინები კლასიფიკაცირებულია სტრუქტურისა და წარმოშობის მიხედვით, აღწერილია ტერმინთშემოქმედების მექანიზმები. ასევე მიმოვიხილეთ ტერმინოლოგიის ნორმირების საერთაშორისო პრაქტიკა და მისი ქართულ რეალობაზე ადაპტაციის შესაძლებლობები. წარმოდგენილია რეკომენდაციები ქართული საფინანსო ტერმინოლოგიის დახვეწისა და სტანდარტიზაციისათვის, მათ შორის ტერმინოლოგიური ბაზების შექმნისა და დარგის სპეციალისტებსა და ენათმეცნიერებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის გზით. ცალკე შევხებით სრულფასოვანი საფინანსო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შედგენის პრინციპებს და შევადგინეთ სამაგალითო სიტყვა სტატიები.

საკვანძო სიტყვები: ფინანსები, ტერმინოლოგია, საფინანსო ტერმინები, ლექსიკოგრაფია, ნეოლოგიზმები, ნორმირება, სესხება, ტრანსლიტერაცია, ტერმინთშემოქმედება.

Abstract

From a lexicographic point of view, terminological research is extremely interesting in spheres where contact with foreign languages and the outside world in general is very active and where these fields themselves are rapidly evolving. New concepts and terms are constantly emerging here, and the influence of foreign languages is also reflected in the Georgian language. This thesis aims to analyze the structure, semantic features, origins, and usage practices of modern Georgian financial terminology. The study aims to identify and assess the problems existing in financial terminology, in particular, terminological diversity, sometimes uncontrolled borrowing of foreign terms, and inconsistent use and standardization. The study uses both traditional linguistic methods and modern technological tools (for example, SynchroTerm), which simplify work on financial (and other) terms, their detailed contextual analysis, and the creation of wordlists based on bilingual corpora. In the work, terms are classified by structure and origin, and term creation mechanisms are described. We also reviewed the international practice of standardizing terminology and the possibilities of adapting it to Georgian reality. Recommendations for improving and standardizing Georgian financial terminology are provided, including the development of terminology databases and fostering close collaboration between specialists (financiers etc.) and linguists. Additionally, the principles for compiling a comprehensive dictionary of financial terminology are discussed, along with sample dictionary entries.

Keywords: finance, terminology, financial terms, lexicography, neologisms, standardization, borrowing, transliteration, term creation.